სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

დადგენილება № სფ-0201-21
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის
წარმოების შეწყვეტის შესახებ

ხაშური 26 აგვისტო 2021 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე - მარიამ ფარეიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 26 აგვისტო

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

კახა მაღლაკელიძე

პირადი №01007001432;

აბონენტის №3510067620;

მცხოვრები: ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N 35 ბ. 34

---

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2021 წლის 27 ივლისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერში, თავისუფლების ქუჩაზე რეგისტრირებული სეზონური აბონენტის - მირზა უკლებას (აბონენტის №3510067620) აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას, დაფიქსირდა ელ. ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენის ფაქტი. აღნიშნული ფაქტის თაობაზე, სემეკის 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომი-ბაკურიანის მ/ც-ის უბნის მენეჯერის დავით გოგიჩაიშვილის მიერ 27.07.2021 წელს შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A822354. აქტის თანახმად, აბონენტ მირზა უკლებას მრიცხველი დავალიანების გამო 09.02.2021 წელს გათიშული იყო ქსელიდან (გათიშვის ჩვენება - 10349), ხოლო შემოწმების მომენტში მრიცხველზე დაფიქსირდა ელ.ენერგიის თვითნებურად აღდგენის ფაქტი, რაც გამოიხატა მრიცხველის მომატებული ჩვენებით (10384), რის გამოც მრიცხველი გაითიშა ქსელიდან.

№3510067620 აბონენტის (მირზა უკლება) რეგისტრაციის მისამართზე - ბორჯომის რაიონი, დაბა წაღვერი, თავისუფლების ქუჩა, იმყოფებოდა კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი - დავით გოგიჩაიშვილი, რომლის მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა აბონენტის ადგილზე მოძიება და დაფიქსირებული ფაქტის თაობაზე, კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" 44-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, აბონენტს ოფიციალურ მისამართზე დაზღვეული ფოსტით გაეგზავნა ელ.ენერგიის უკანონო მოხმარების ფაქტთან დაკავშირებით შედგენილი №A822354 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი და ეთხოვა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ბორჯომი-ბაკურიანის მ/ცენტრში გამოცხადება (მის: ქ.

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
ბორჯომი, რუსთაველის ქ. №93ა), მისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით. აღნიშნული წერილი არ ჩაბარდა ადრესატს და საფოსტო-საკურიერო სამსახურმა დაგვიბრუნა უკუგზავნილი.

ამასთან, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დაგვიკავშირდა აბ. მირზა უკლებას წარმომადგენელი - კახა მაღლაკელიძე, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული პიროვნება (მირზა უკლება) წლების განმავლობაში არ იმყოფება საქართველოში და ითხოვა №3510067620 აბონენტისათვის ელ.მომარაგების აღდგენა. 20.08.2021 წელს ბორჯომი-ბაკურიანის მ/ც -ის მენეჯერის დავით ბიწაძისა და უბნის მენეჯერის მზია კაპანაძის მიერ მოქ. კახა მაღლაკელიძის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას №002315. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №002315 ოქმს ხელს აწერს აღნიშნული პიროვნება, რომელსაც იქვე გადაეცა სამართალდარღვევის ოქმი. მან ოქმში, ახსნა-განმარტების გრაფაში, მიუთითა, რომ როგორც მისთვის არის ცნობილი, ელ.გადამცემ სადენს დაეცა ხე და სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნული ხის გადასაჭრელად (გასათავისუფლელად) მოიხმარეს მეზობლებმა ელ.ენერგია, რის თაობაზეც თავად ინფორმირებული არ იყო. ამდენად, კახა მაღლაკელიძე არ აღიარებს ელ.ენერგიის უკანონო მოხმარებისა და სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ამასთან, საგულისხმოა, რომ მართალია მრიცხველი წინწასულია, მაგრამ ვინაიდან სახლი სეზონურია და ამავდროულად, მესაკუთრე (აბონენტი) არ იმყოფება საქართველოში, არ იკვეთება აბონენტის ინტერესი და მისი მხრიდან ელ.ენერგიის მოხმარების საჭიროება. ამასთან, კახა მაღლაკელიძის მიერ ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოება ასახულია ფოტომასალაზეც, ასევე, არსებობენ მოწმეები, მათ შორის ენერგოკომპანიის თანამშრომლები, რომლებიც ადასტურებენ ელ.გადამცემ სადენზე ხის დაცემის ფაქტს. ამდენად, არსებული მტკიცებულებებით არ იკვეთება კახა მაღლაკელიძის ბრალეულობა.

ამასთან, ყურადსაღებია, რომ კახა მაღლაკელიძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2021 წლის 25 აგვისტოს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. 26.08.2021 წელს ჩანიშნული სხდომის თაობაზე კახა მაღლაკელიძეს ეცნობა როგორც ელექტრონული ფოსტის, ისე სატელეფონო ზარის მეშვეობით. ამდენად, საქმეში დევს დადასტურება, რომ მაღლაკელიძეს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ გადადების თაობაზე მას არანაირი განცხადებით კომისიისთვის არ მოუმართავს. ამდენად, კომისია მისი დასწრების გარეშე უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ფოტომასალა, საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჩაბარების დადასტურება, სატელეფონო აქტი, დაზღვეული წერილი), არ იკვეთება კახა მაღლაკელიძის (პირადი №01007001432) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ა.ს.კ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ასევე, დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა. თუმცა, ამავე კოდექსის 232-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არ არსებობის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე და 240-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10 №14; 28.09.15 №28 დადგენილებებით; ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 16.09.10 RU №2010009 წესით და 30.06.21 Or №22021018 ბრძანებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. **კახა მაღლაკელიძის (პირადი №01007001432)** მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

7. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: ----------

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:
კომისიის თავმჯდომარე:
მარიამ ფარეიშვილი